

ფინანსური ანგარიშგება

შპს “ბეოსტორიჯი”

(ს/ნ 404860520)

2021 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

- 1) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2) მოგება-ზარალისა ანგარიშგება
- 3) საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- 3) ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	12/31/2021	12/31/2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	190,297	453,709
საინვესტიციო ქონება	0	0
ბიოლოგიური აქტივი	0	0
	0	0
	190,297	453,709
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	865,059	349,335
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,013,140	643,342
მარაგები	34,354	7,791
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	0	0
საგადასახადო აქტივი	48,369	52,569
წინასწარ გაწეული ხარჯი	18,640	18,640
	2,979,562	1,071,678
მთლიანი აქტივები	3,169,859	1,525,387
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	83,765	83,765
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2,693,846	1,345,285
გადაფასების რეზერვი	0	0
	2,777,611	1,429,050
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სესხები	0	0
ანარიცხები	0	0
	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	0	50,976
გადავადებული შემოსავალი	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	392,248	45,361
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	0	0
	392,248	96,337
მთლიანი ვალდებულებები	392,248	96,337
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	3,169,859	1,525,387

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		
	12/31/2021	12/31/2020
ამონაგები	4,332,901	2,937,233
თვითღირებულება	(925,097)	(488,931)
საერთო მოგება	3,407,804	2,448,302
სხვა შემოსავლები	203,521	3,653
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(895,592)	(836,620)
მიწოდების დანახარჯები	(2,182)	(68)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	-	-
სხვა ხარჯები	(544,663)	(344,986)
საოპერაციო მოგება	2,168,888	1,270,281
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	(2,046)	(12,547)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(2,046)	(12,547)
მოგება დაბეგვრამდე	2,166,841	1,257,734
მოგების გადასახადი	(122,742)	(75,771)
პერიოდის მოგება	2,044,099	1,181,963
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით	-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	2,044,099	1,181,963

**საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება**

	საწესდებო კაპიტალი Share Capital and Share Premium	გაუნაწილებელი მოგება Retained Earnings	მთლიანი კაპიტალი Total Equity
2019 წლის 31 დეკემბერი	83,765	592,690	676,455
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			-
მოგება წლის ბოლოს	-	1,257,734	1,257,734
გაცემული დივიდენდი	-	(505,139)	(505,139)
სხვა ცვლილება			-
2020 წლის 31 დეკემბერი	83,765	1,199,860	1,429,050
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			-
მოგება წლის ბოლოს	-	2,166,841	2,166,841
გაცემული დივიდენდი	-	(818,280)	(818,280)
2021 წლის 31 დეკემბერი	83,765	2,548,421	2,771,611

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გეოსტორიჯი” დარეგისტრირებულია მისამართზე: თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის №3.

შპს “გეოსტორიჯი”-ის 33.33%-ის წილის მფლობელი არის თეა ბუცხრიკიძე (პ/ნ 01024021905), ვიქტორ აზარიან, რუსეთის ფედერაცია 33.34% (პ/ნ 75 0703170), ლევან ხანთაძე 33.33% (პ/ნ 01008055193), აღმასრულებელი დირექტორი არის თეა ბუცხრიკიძე (პ/ნ 01024021905) კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 24 თანამშრომელს.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, , აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები 5 წელი

ოფისის აღწურვილობა ინვენტარი - 5წელი

სატრანსპორტო საშუალებები -5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადის და აქტივის სასარგებლო ვადას შორის უმცირესი.

3.3 იჯარა

ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. 2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა

გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

3.8 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.9 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

შენიშვნა 1**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2021	2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,646	3,863
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	826,413	345,472
სულ	865,059	349,335

შენიშვნა 2**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები	2,013,140	643,342
წინასწარ გაწეული ხარჯი	18,640	18,640
საგადასახადო აქტივი	48,369	52,567
სულ	2,080,149	714,549

შენიშვნა 3**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	2021	2020
მოკლევადიანი სესხები	0	50,976
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	392,248	45,361
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სულ	392,248	96,337

შენიშვნა 4**საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები**

ანგარიშის წარდგენის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

შენიშვნა 5**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

	ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2022 წლის 17 იანვარი.
--	---

ხელმოწერა

თარიღი : 17.01.2022

